შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N 1

2026 წლის 6 მარტი, ქალაქი ონი

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან შერაზადიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს წევრი;

ირმა ჩიხრაძე-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, საბჭოს წევრი;

თამარ ლობჯანიძე - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

მარინე რაზმაძე -მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი -საბჭოს წევრი;

ხათუნა ღუღუნიშვილი -მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

ალავერდი ხვედელიანი - ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრი;

გიორგი მელაშვილი - ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

თამაზ გოგლიძე -საბჭოს წევრი.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:

მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ია ალიბეგაშვილი - საბჭოს წევრი.

სხდომა მიყავდა:

დავით ლობჟანიძეს- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის მერს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი, მიესალმა საბჭოს წევრებს, მოწვეულ სტუმარს და აღნიშნა, რომ დღევანდელი სხდომა, უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ამის შემდეგ, მან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა

მომხსენებელი - ლამარა გამყრელიძე, საბჭოს მდივანი;

2.შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს 2026 წლის გეგმის განხილვა

მომხსენებელი - დავით ლობჟანიძე, საბჭოს თავმჯდომარე;

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს წევრებისთვის საბჭოს ახალი დებულების გაცნობა

მომხსენებელი -ლამარა გამყრელიძე, საბჭოს მდივანი;

მოისმინეს :

1. .შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა

მომხსენებელი - ლამარა გამყრელიძე, საბჭოს მდივანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, მუშაობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. 2025 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების ძირითადი მიმართულებები სწორედ ამ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრა.

შშმ საბჭოს მიერ, 2025 წლის სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სხვადასხვა ასაკის შშმ პირთა დაცვის გარანტიების შექმნას, მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირებისათვის და კანონის 35 მუხლით- „მუნიციპალიტეტის ორგანოები / დაწესებულებები“ - განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომებზე მიღებული დადგენილებების შესრულების მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო გეგმის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული საბჭოს წევრები, ასევე მერიის სტრუქტურული ერთელების ხელმძღვანელები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2025 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით, განისაზღვრა 6 მიზანი და 7 ამოცანა, რომელთა შესასრულებლად დაიგეგმა 8 აქტივობა. საანგარიშო პერიოდში გაიმართა საბჭოს სამი სხდომა, სადაც განხილული იქნა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:1. (1.1.1)ონის მუნიციპალიტეტის მერიის ქალთა ოთახის სპეციალისტის ანგარიში „ მუნიციპალიტერტში მცხოვრები შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზების შესახებ გაწეული მუშაობის თაობაზე“,

2. მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ასევე სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების აღრიცხვა და ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით პროექტების შემუშავების შესახებ. (2.1).

3. არცერთი 2-დან 18 წლამდე ბავშვი განათლების გარეშე (2.1.1).

4.სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მათ შორის სხვადასხვა მოდელის სკოლამდელი განათლების ალტერნატიულ ცენტრებში, ბავშვთა ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორისა და მულტიდისციპლინური გუნდის წევრთა ანგარიშების მოსმენა (2.1.2.),

5. ბიუჯეტირების პროცესში, ასევე მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავების დროს, მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების ჩართულობის მდგომარეობა, (3.1).

6.ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასეთი ოჯახების მატერიალური და არამატერიალური მიმართულებით პროგრამებისა და პროექტების შემუშავების მდგომარეობა. (3.1.2.)

7. „ონის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ და „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის პროგრამის მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, 2025 წლის პირველ ნახევარში არსებული მდგომარეობის შესახებ.(5.1.)

8. „მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ დადგენილების შესაბამისად, შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მდგომარეობა. (5.1.1).

9.ინდივიდის საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო სერვისებისა და პროგრამების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე შეთავაზებისა და განხორციელების მდგომარეობა. (6.1.)

10.მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთათვის ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობა, არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (7.1.) და სხვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭო, თავის მუშაობაში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მიღებული დადგენილებების შესრულებას. 2025 წელს სხდომებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭომ მიიღო 14 დადგენილება, რომლის შესრულებაც აყვანილია კონტროლზე. დადგენილების კონტროლზე აყვანა წესრიგდება საკონტროლო ბარათების მეშვეობით. საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სხდომის ოქმის ხელმოწერისთანავე, შესასრულებელი დადგენილების თაობაზე, კონკრეტული დადგენილების შემსრულებელთან იგზავნება საკონტროლო ბარათი, სადაც აღნიშნულია შესასრულებელი დადგენილების შინაარსი და მისი შესრულების დრო. საკონტროლო ბარათის მეორე და მნიშვნელოვანი ნაწილია, დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა საბჭოში. დადგენილების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, საკონტროლო ბარათზე აკეთებს მინაწერს, დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რასაც ადასტურებს ხელმოწერით და ოპერატიულად უგზავნის საბჭოს. 2025 წლის ივნისის საბჭოს სხდომაზე ასევე მოსმენილი იქნა საკითხი „მერიის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2025 წლის 26 მარტის სხდომაზე მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ“.

მაგალითად: მარტის თვის საბჭოს სხდომაზე განხილული საკითხების მიხედვით, კონტროლზე იქნა აყვანილი სულ, სამი დადგენილება.

საკონტროლო ბარათი N 1 ავალებდა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორს, მზია გუგეშაშვილს, სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრების ბავშვთა გადმოყვანას, თვეში ერთხელ მაინც. დადგენილების მიზანს წარმოადგენდა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღში და თანატოლებთან ერთად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, ასევე სოციუმში ალტერნატიული ცენტრების ბავშთა ჩართვას. მ. გუგეშაშვილმა, საკონტროლო ბარათის მეშვეობით, საბჭოს აცნობა, რომ შვიდი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ალტერნატიული ცენტრიდან, აღსაზრდელები, აღმზრდელებთან და მათ მშობლებთან ერთად, ბაგა-ბაღში ესწრებიან სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესს. ცენტრების აღმზრდელები, ამ დროს, ხვდებიან ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს და მათგან იღებენ საჭირო რეკომენდაციებს, ადრეული ჩარევის საკითხებზე, აგრეთვე მათთვის საინტერესო მეთოდურ და პედაგოგიურ მიდგომებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაგეგმა, შეფასება, კლურიკულუმის დანერგვა, სსმ ბავშვებთან მუშაობის მეთოდები და ა.შ.

ამავე სხდომაზე, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელს დაევალა, კონტროლზე აეყვანა სოფელ წედისში მცხოვრები ნ.მ-ს მშობლისთვის, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე, ბავშვის რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში ჩართვა, ასევე საჭიროების მიხედვით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მსგავსი საჭიროების მქონე ბავშვთა ტრანსპორტირების საკითხის მოგვარება, უახლოეს სარეაბილიტაციო ცენტრში.

განყოფილების ხელმძღვანელმა, წერილობით აცნობა საბჭოს, ამ დავალების შესრულების დადებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაფინანსდა ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ და სსსმ ბავშვთა ტრანსპორტირება, ამბროლაურის სარეაბილიტაციო ცენტრში.

საკონტროლო ბარათების მეშვეობით, კვლავ გაგრძელდება საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების მონიტორინგი, რაც მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც კარგი პრაქტიკა, უკუკავშირისთვის.

მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ საბჭოს წევრთა და სტრუქტურული ერთეულების აქტიური ჩართულობით, შეიმუშავა სამუშაო გეგმა 2026 წლისთვის. განსაკუთრებულად გამორჩეულად იმუშავეს გეგმის საკითხების მომზადებაზე მარიამ რაზმაძემ - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელმა. ხოლო გასული წლის საბჭოს სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული თამარ ლობჯანიძე. საბჭოს ახალი შემადგენლობა შეეცდება საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი კანონმდებლობების, სამთავრობო სამოქმედო გეგმებისა და რეკომენდაციების, სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესასრულებლად, უკეთესად იმუშაოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისა და მუნიციპალიტეტის მმართველობით საქმიანობაში ჩართვის ხელმისაწვდომობისათვის.

აზრი გამოთქვეს:

1.დავით ლობჟანიძემ - მუნიციპალიტეტის მერმა, საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც თქვა, რომ მე მაქსიმალურად ვიქნები ჩართული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში, იმ ვარაუდით, რომ ჩემი წვლილი შევიტანო განსაკუთრებული საჭირობების მქონე ადამიანების

კეთილდღეობაში. ყველა აქტივობაში, რომელიც შეტანილია ახალ, 2026 წლის სამოქმედო გეგმაში, მონდომებით ვიქნები ჩართული. აქ გამოიკვეთა ბავშვთა ადრეულ ჩარევის მნიშვნელობაზე. ამ მიმართულებით დახარჯული თანხა ძალიან მნიშვნელოვანი დანახარჯია და ამ ხარჯს ყოველთვის გასწევს მუნიციპალიტეტი, მითუმეტეს, თუ ამას გარკვეული შედეგი მოყვება.

2. **მარიამ რაზმაძე-** სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი- აღნიშნავს, რომ შშმ ბავშვებისათვის გვაქვს შეთავაზება, ამბროლაურის სარეაბილიტაციო ცენტრში რეაბილიტაციისთვის. დავინტერესდით შედეგებით და უნდა აღინიშნოს, რომ პირველი შედეგები კარგია. გასულ წელს ერთი ბავშვი გადაგვყავდა ცენტრში, წელს უკვე 4 ბავშვი გადის რეაბილიტაციას. მათი გადაყვანა რეგულარულად ხდება. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მარტო საწვავის დაფინანსება ხდება, ჩვენი მუნიციპალიტეტი კი, სრულად უზრუნველყოფს ტრანსპორტირების დაფინანსებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

3. **ლევან შერაზადიშვილი-** მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აღნიშნავს, რომ ჩვენ ყველა ერთად უნდა დავუდგეთ გვერდით განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს. მითუმეტეს, ბავშვს და მაშინ, როცა საქმე ბავშვის ჯანმრთელობას ეხება. კარგია, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამები და ეს ასე გაგრძელდება მომავალშიც.

დაადგინეს 1:

1. 2026 წლის საანგარიშო პერიოდში, საბჭოს შემადგენლობის ყურადღება მიქცეული იქნას საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად;

2. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერების მიზნით, საბჭოს ყურადღება მიექცეს მერიის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების უფრო მეტ ჩართულობაზე 2026 წლის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად;

3. დადებითად იქნეს შეფასებული ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა.

მოისმინეს 2.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს 2026 წლის გეგმის განხილვა

მომხსენებელი - დავით ლობჟანიძე, საბჭოს თავმჯდომარე;

დ. ლობჯანიძე - საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ 2026 წლის სამუშაო გეგმის შედგენაში ჩართული იყო მერიის სტრუქტურული ერთეულები. მომზადებული სამუშაო გეგმის პროექტი, შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის, წინასწარგასაცნობად, გადაეგზავნა საბჭოს ყველა წევრებს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საანაგარიშო პერიოდში, ასევე გვექნება შესაძლებლობა, რომ საჭიროების მიხედვით, დავგეგმოთ რიგგარეშე საკითხები. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ შშმ საჭოს 2026 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს 2.

-დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს 2026 წლის საქმიანობის გეგმა (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს 3.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მომუშავე საბჭოს წევრებისთვის საბჭოს ახალი დებულების გაცნობა

მომხსენებელი -ლამარა გამყრელიძე, საბჭოს მდივანი;

მომხესენებელმა ლ. გამყრელიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს საქმიანობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი იყვნენ საკრებულოს წევრები და დებულებით განისაზღვრა 7 წევრის ნაცვლად საბჭოს წევრთა ოდენობა 12 პირით. დებულების მიხდვით, დადგენილია საბჭოს სხდომების გამართვის ვადები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები (დებულება ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს 3.

-მიღებული იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის N2 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილბრივ დონეზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე

მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე : /დავით ლობჟანიძე/.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა

საკითხებზე ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე

მომუშავე საბჭოს მდივანი : /ლამარა გამყრელიძე/.